



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025)

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 23/02/2018 წ. - ოქმი №3 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი
წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების
განხორციელებას.

მოამზადა: პრორექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში _____

შეამოწმა: იურიდიული სამსახური _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.PL1.G

ვერსია: 1.00

განახლების თარიღი:

15/05/2019

დამტკიცების თარიღი:

23/02/2018

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები	3
ცვლილებების ნუსხა.....	4
1. შესავალი	5
2. მისია და ხედვა	6
3. პოლიტიკა	6
4. მოზიდვის მექანიზმები	7
5. განათლება	9
6. პოლიტიკის მიზნები	11
7. საერთაშორისო ქსელებში ჩართულობა.....	13

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	4	27.02.2018
2.	აკადემიური საბჭო	7	15.05.2019

თავდაპირველი რედაქცია: 23.02.2018- #3

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	27.02.2018	2	მისია და ხედვა
02	27.02.2018	4	მოზიდვის მექანიზმები
03	27.02.2018	7	საერთაშორისო თანამსრომლობის მექანიზმები განვითარების
04	15.05.2019	4	მოზიდვის მექანიზმები

1. შესავალი

უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოქალაქეთა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, სხვადასხვა ორგანიზაცია და კომპანია თანამშრომლობს დამატებითი წინაღობების გარეშე. შესაბამისად, უმაღლესი განათლება საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

დღეისათვის ინტერნაციონალიზაცია თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) დღის წესრიგშია შეტანილი. აკადემიური, ეკონომიკური-პოლიტიკური და სოციალური მიზნების მრავალფეროვნება აიძულებს სახელმწიფოებს შეიმუშავონ სტრატეგია და გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, კვლევებში თანამშრომლობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლება, ინტერნაციონალიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები გახდა ახალი მნიშვნელოვანი მიმართულებები გლობალიზაციის პროცესების გამო. ამდენად, ევროკავშირი ასევე აქტიურად უჭერს მხარს ამ საკითხებს. შესაბამისად, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოსთვისაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) ცდილობს განავითაროს განათლების ხარისხი, რათა შესთავაზოს საუკეთესო შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებს. ჩვენი მიზანია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა შეძლონ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ცხოვრება და მუშაობა.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ 2017-2018 სასწავლო წლამდე განხორციელებული აქტივობებისა და შესაბამისი შედეგების ანალიზის საფუძველზე, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. დოკუმენტი განიხილება ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, მიმდინარე წლის პოლიტიკაში შესაბამისი ცვლილებებისა და განახლებების განხორციელების მიზნით.

2. მისია და ხედვა

2.1. უნივერსიტეტის მისია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შხსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (ოქმი #4)

2.2. უნივერსიტეტის ხედვა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება.

3. პოლიტიკა

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა დამყარებულია განვლილი წლების განმავლობაში სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან თანამშრომლობის საფუძველზე მიღებულ გამოცდილებასა და მომავლის ხედვებზე, რომელიც აერთიანებს შესაძლებლობებს მთელი უწყვეტი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად. მთავარ მიზანს კი წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე მსოფლიო მოქალაქეების გაზრდა და განვითარება.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მიზანია:

- უზრუნველყოს კურსდამთავრებულების გამოშვება, რომლებიც პროფესიონალურად შეძლებენ ურთიერთობების დამყარებასა და საქმიანობას მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში;
- უზრუნველყოს პარტნიორული კავშირების განვითარება საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის;
- უზრუნველყოს პერსონალის წახალისება, რათა განვითარდნენ, როგორც საერთაშორისო მკვლევარები და ჩართულნი იყვნენ სწავლა-სწავლებისა და მენტორინგის პროცესებში საერთაშორისო დონეზე;
- უზრუნველყოს პერსონალისა და სტუდენტების წახალისება უწყვეტი განათლების პროცესში ჩასართავად, რათა იყვნენ ე.წ. მსოფლიო მოქალაქეები.

წინამდებარე პოლიტიკის შედეგად:

- უნივერსიტეტში განხორციელდება საგანმანათლებლო პროცესებისა და სტუდენტთა გამოცდილების ინტერნაციონალიზაცია, რაც საშუალებას მისცემს პერსონალსა და სტუდენტებს, განახორციელონ საქმიანობა საერთაშორისო დონეზე, მათ შორის, უზრუნველყოფს საერთაშორისო ტრენინგებითა და საგანმანათლებლო პროგრამებით;
- უნივერსიტეტი განავითარებს საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობებს განათლების, კვლევებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პარტნიორობების გაღრმავებას საერთაშორისო ინსტიტუტებთან და უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პერსონალს, კურსდამთავრებულებს, პარტნიორებს და სხვა.

4. მოზიდვის მექანიზმები

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს უცხოელი სტუდენტების კონტიგენტის ზრდაზე. საერთაშორისო სტუდენტები განსხვავებული მიზეზების გამო ირჩევენ საგანმანათლებლო პროგრამებს კონკრეტული ქვეყნის მიხედვით. შესაბამისად, სტუდენტთა მოზიდვის

მრავალი განსხვავებული სტრატეგია არსებობს. სტუდენტების მოძრაობა საერთაშორისო ასპარეზზე დემოგრაფიული ცვლილებების, სტუდენტთა მობილობის გაზრდილი მაჩვენებლისა და უმაღლესი განათლების ღირებულების ზრდის მიზეზია. უნივერსიტეტი ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მოზიდვის სხვადასხვა გეგმებს შეიმუშავებს.

სტუდენტების ასეთი დინების, ასევე სხვადასხვა ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა განავითარა მოზიდვის რამდენიმე მექანიზმი:

- საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმებში მონაწილეობა;
- ორმხრივი შეთანხმებები პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან სტუდენტთა და პერსონალთა გაცვლითი და მობილობის პროგრამების თაობაზე;
- Erasmus+ პროექტების ფარგლებში, შესაბამისი შეთანხმებები პარტნიორ უნივერსიტეტებთან პერსონალთა გაცვლითი და მობილობის პროგრამების თაობაზე;
- შეთანხმებები ადგილობრივ და საერთაშორისო შუამავალ სააგენტოებთან;
- ონლაინ პლატფორმა - Keystone Academic Solutions;
- კურსამთავრებულთა ქსელი;
- სოციალურ მედიაში წარმომადგენლობა;
- თანამშრომლობა „ისწავლე საქართველოში“ პროექტთან;
- საერთაშორისო სტუდენტებისთვის ფინანსური შეღავათების დაწესების სისტემა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით (ოქმი #7)

მოზიდვის მექანიზმების სტრატეგიას ხელს უწყობს:

- უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პერსონალი და საგანმანათლებლო პროგრამები;

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით (ოქმი #4)

- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები (მისაღებ პროცედურებში დახმარება დოკუმენტების თარგმანისა და აღიარების პროცესებში, ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარსადგენად დახმარება).

4.1. მოზიდვის მექანიზმების განვითარების სამომავლო ხედვა

უნივერსიტეტი გეგმავს დანერგოს ახალი პრაქტიკა საერთაშორისო სტუდენტების რიცხოვნობისა და ინტერნაციონალიზაციის ზრდისათვის, რაც გამოიხატება შემდეგში:

- საერთაშორისო სკოლებსა და უნივერსიტეტებში ვიზიტი წინასწარ განსაზღვრულ ბაზარზე;
- მონაწილეობის მიღება სამიზნე ჯგუფების მოსაზიდად განხორციელებულ ვიზიტებში.

5. განათლება

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მისი პერსონალისა და სტუდენტების საგანმანათლებლო განვითარებას, აქტიურად ავითარებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს სტუდენტთა მობილობის, სტუდენტთა და პერსონალთა გაცვლითი პროგრამების, ასევე კვლევების მიმართულებით.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა ევროკავშირში ინტეგრაცია. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება გზას უხსნის საქართველოს მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლისათვის ევროკავშირის ტერიტორიაზე. შესაბამისად, მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციას, განსაკუთრებით ევროპის მიმართულებით. ქვეყანაში დანერგილი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, უნივერსიტეტს შეთავაზებული აქვს სამივე საფეხურის დაახლოებით 26 საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე, რათა შესაძლებელი იყოს საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სტუდენტებისა და პერსონალის მიღება. უნივერსიტეტის ხედვაა, რომ ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს სწავლის ხარისხისა და პროგრამების განვითარებას.

5.1. სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლა

უნივერსიტეტი არის მრავალი სხვადასხვა ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ასოციაციის წევრი და გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები დაახლოებით ასამდე ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტთან. გაცვლითი პროგრამების განხორციელებას

კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და პასუხისმგებელია პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე. ყოველი წლის განმავლობაში, დაახლოებით 50-60 სტუდენტი იგზავნება გაცვლითი პროგრამების მეშვეობით პოლონეთში, პორტუგალიაში, ლატვიაში, ლიტვაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მეშვეობით:

- უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამები ვითარდება და ფართოვდება უწყვეტ რეჟიმში;
- საერთაშორისო სტუდენტებისათვის მიღების პროცესში კომუნიკაცია ხორციელდება ინგლისურ ენაზე;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის ვიზიტებს პარტნიორ უნივერსიტეტებში მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად;
- უნივერსიტეტი ცდილობს, გაზარდოს საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

5.2. სტუდენტთა მობილობა

უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების მობილობას. პროცესის ადმინისტრირება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. უნივერსიტეტი სტუდენტთა მობილობას განიხილავს არამხოლოდ როგორც საგანმანათლებლო პროცედურას, არამედ როგორც კულტურული და კარიერული განვითარების შესაძლებლობას. მობილობისა და გაცვლითი პროგრამები ხელს უწყობს რეგიონულ და მსოფლიო მშვიდობას, ვინაიდან საშუალებას აძლევს ადამიანებს, უკეთ გაეცნონ ერთმანეთს. შესაძლო KA1¹ შეთანხმება ევროპულ

¹ Key Action 1

უნივერსიტეტებს შორის ასევე აძლევს საშუალებას ქართველ სტუდენტებს ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების მათივე წრის წარმომადგენლებთან.

- უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო სტუდენტების მობილობის პროგრამებში;
- სტუდენტთა მობილობის მხარდამჭერი მომსახურებები უნივერსიტეტში იქნება უფრო მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი მომავალი სტუდენტებისათვის.

6. პოლიტიკის მიზნები

უნივერსიტეტი მხარს უჭერს და ავითარებს აკადემიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პერსპექტივების მხარდამჭერ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და სტრატეგიებს. აღნიშნული მიმართულებები ურთიერთდაკავშირებულია, რომლებიც ქმნიან ინსტიტუციებთან დაკავშირებულ გრძელვადიან მიმართულებებს ინტერნაციონალიზაციისათვის.

6.1. აკადემიური

- უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება - პერსონალისა და სტუდენტების გაცვლა, მობილობის პროგრამები, საერთაშორისო თანამშრომლობები და სხვა;
- ცოდნის გაღრმავება - სტუდენტთა და პერსონალის მობილობა, ინსტიტუციური პარტნიორობა კვლევების მიმართულებით და ა.შ. ქმნის ცოდნის დაგროვებისა და განვითარების საფუძველს;
- უმაღლესი განათლების გავრცელება - სტუდენტებისა და პერსონალისათვის შესაბამისი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა უმაღლესი განათლების განვითარებისათვის. აღნიშნული მიმართულება ქმნის ხარისხიან საგანმანათლებლო შესაძლებლობებს მოქალაქეებისათვის;
- პრესტიჟი და რეიტინგი - საერთაშორისო დონის უნივერსიტეტის განვითარება, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციებთან. აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით უნივერსიტეტი გადის საერთაშორისო

დონეზე, სადაც მასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია პოტენციური სტუდენტების, პერსონალის, მომავალი პარტნიორებისათვის და ა.შ. პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ზრდის პრესტიჟს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

6.2. ეკონომიკური

- მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელი - ინტერნაციონალიზაციას პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკური სარგებელი სწავლის საფასურის მეშვეობით, აგრეთვე უზრუნველყოფს მრავალფეროვნებას ადგილობრივ საზოგადოებაში;
- სამუშაო ძალის განვითარება - საშუალებას აძლევს ადგილობრივ სტუდენტებსა და პერსონალს ითანამშრომლონ უცხოელ კოლეგებთან. აღნიშნული ზრდის სამუშაო ადგილებს, რასაც თავის მხრივ, შედეგად მოყვება საგანმანათლებლო გამოცდილება, სამუშაო უნარების განვითარება და მოქალაქეთა განვითარება საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად.
- გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებელი - უზრუნველყოფს შესაძლებლობებს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაზარდონ ქვეყნის ცნობადობა და გახადონ ვიზიტისათვის მიმზიდველი. აღნიშნული პროცესები ქმნიან ჯაჭვურ რეაქციებს.

6.3. პოლიტიკური

- ეროვნული უსაფრთხოება - ინტერნაციონალიზაციას შედეგად მოსდევს მოქალაქეთა კულტურული და ეთიკური განვითარება, რომლებიც ხდებიან მსოფლიო მოქალაქეები. აღნიშნული იძლევა მათი ცოდნის გაღრმავების საშუალებას და შესაძლებლობას, გახდნენ ლიდერები საერთაშორისო ასპარეზზე.
- საერთაშორისო განვითარება - შესაძლებელი ხდება პოლიტიკური პლატფორმების განვითარება, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნებს საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობისათვის, რაც ხელს უწყობს აკადემიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებას.

6.4. სოციალურ-კულტურული

- გლობალური მშვიდობა და ურთიერთგაგება - ზრდის ტოლერანტობას სხვადასხვა ეროვნების მქონე სტუდენტებს შორის, რასაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს შორის ინტერაქცია. სხვადასხვა ჩვეულება, კულტურა, ღირებულება ავითარებს სტუდენტებს მსოფლიო მოქალაქეებად და ამზადებს მათ იმისათვის, რომ შეძლონ გლობალური პრობლემებისა და დაკავშირებული საკითხების იდენტიფიკაცია. ეს აძლევს სტუდენტებს ცოდნას და საკითხის სხვადასხვა პერსპექტივის ჭრილში ხედვის უნარს.

7. საერთაშორისო ქსელებში ჩართულობა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო ქსელში. აღნიშნული საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს იყოს საერთაშორისო დონეზე ცნობადი. უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ერასმუსის პროექტებში პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ევროკავშირის მასშტაბით.

- უნივერსიტეტი ავითარებს ორმაგი ხარისხისა და ერთობლივ პროგრამებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერასმუსის პროგრამის ფარგლებში;
- უნივერსიტეტი იკვლევს საგანმანათლებლო ბაზარსა და სასწავლო პლატფორმებს მსოფლიო მასშტაბით პარტნიორობების შესაძლებლობების დასადგენად;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს ფაკულტეტებს განახორციელონ საერთაშორისო ღონისძიებები ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების სახით;
- უნივერსიტეტი ახორციელებს საერთაშორისო კურსდამთავრებულთა ჩართვას უწყვეტი განათლების პროცესში, რაც ავითარებს შესაძლებლობებს სხვა კურსდამთავრებულებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე და უზრუნველყოფს მათ კავშირებს;
- უნივერსიტეტი არის ხარისხის მართვის ევროპული ასოციაციის წევრი (European Foundation for Quality Management (EFQM)).

7.1. სამომავლო გეგმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის

- უნივერსიტეტი გეგმავს გახდეს ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი (European University Association (EUA)) ;
- EFQM-ის წევრობის ფარგლებში, უნივერსიტეტი გეგმავს ისარგებლოს ყველა იმ უპირატესობით, რასაც ორგანიზაცია სთავაზობს მის წევრებს.²

7.2. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმები

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ახალი შესაძლებლობები ინიცირებული შესაძლებელი იქნეს უნივერსიტეტის თანამშრომლის/სტრუქტურული ერთეულის მიერ. ინიციატივის განხილვა ხდება საგარეო ურთიერთობების დარგში პრორექტორის მიერ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება რექტორს.

რექტორის მიერ მოწონებული ინიციატივის იმპლემენტაცია ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესით.

²დეტალებისათვის იხ. www.efqm.org

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შსსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

